

ორსულობა ყველა ქალისთვის უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ამ დროს მრავალი ფიზიოლოგიური და ჰორმონული ცვლილება ხდება ქალის ორგანიზმში, რომელიც გავლენას ახდენს ენდოკრინულ სისტემაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ორსულობის გავლენა ფარისებრ ჯირკვალზე და თავის მხრივ, ფარისებრი ჯირკვლის გავლენა ორსულობის მიმდინარეობაზე.



ფარისებრი ჯირკვალის ჰეპლის ფორმის ორგანოა, რომელიც განლაგებულია კისრის წინა ზედაპირზე. მისი მთავარი ფუნქციაა, გამოიმუშავოს ორი ჰორმონი - თიროქსინი (T4) და ტრიოდთირონინი (T3). ეს ჰორმონები გავლენას ახდენენ ორგანიზმში მიმდინარე პრაქტიკულად ყველა მეტაბოლურ პროცესზე და არეგულირებენ ნივთიერებათა ცვლის სიჩქარეს. ფარისებრი ჯირკვალის თავის მხრივ რეგულირდება თავის ტვინის მიერ, კერძოდ ჰიპოფიზი გამოიმუშავებს ფარისებრი ჯირკვლის მასტიმულირებელ ჰორმონს, ყველასთვის კარგად ცნობილ TSH-ს და ამ გზით არეგულირებს ფარისებრის მუშაობას. ნორმაში TSH, FT4 და FT3 ბალანსშია და მათი დონე სისხლში უნდა შეესაბამებოდეს ლაბორატორიის მიერ მითითებულ ნორმის ფარგლებს.


ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითების დროს სისხლში TSH-ის დონე იზრდება. ამ მდგომარეობას ჰიპოთირეოზი ეწოდება.

მოდით, კითხვა პასუხის რეჟიმში გავყვეთ ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიურ ცვლილებებს ორსულობისას და გავიგოთ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება რა გავლენას ახდენს ორსულობის მიმდინარეობასა და ნაყოფის განვითარებაზე.

- რა გავლენას ახდენს ჰიპოთირეოზი ანუ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება ორსულობაზე?

ჰიპოთირეოზი ანუ ფარისებრის ფუნქციის დაქვეითება უარყოფით გავლენას ახდენს როგორც დედაზე, ასევე ბავშვზე. ორსულობისას ჰიპოთირეოზი დგინდება TSH დონის მომატებით სისხლში. არანამკურნალევი ან არასაკმარისად ნამკურნალევი ჰიპოთირეოზი ორსულებში შესაძლოა დაკავშირებული იყოს ანემიასთან (ჰემოგლობინისა და სისხლის წითელი

უჯრედების დონის შემცირება სისხლში), მოიპათიასთან (კუნთების სისუსტე და ტკივილი), გულის უკმარისობასთან, პრეეკლამფსიასა და პლაცენტის პათოლოგიასთან, ასევე დაბალი წონის ნაყოფთან და მშობიარობის შემდგომ სისხლდენებთან. ასევე ორსულობისას ჰიპოთირეოზი წარმოადგენს სპონტანური აბორტის განვითარების რისკსაც. ეს პრობლემები ძირითადად ვითარდება ფარისებრის ფუნქციის გამოხატული დაქვეითებისას. მსუბუქი ჰიპოთირეოზისას შესაძლოა ორსულ ქალს არ ჰქონდეს არანაირი სიმპტომი. რაც შეეხება



ნაყოფს, დედის ჰიპოთირეოზმა შესაძლოა გამოიწვიოს ნაყოფის ტვინის განვითარების შეფერხება. ძირითადად ეს ხდება იოდის ნაკლებობის გამო, რომელიც გავლენას ახდენს როგორც დედის, ასევე ბავშვის ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციაზე და ასევე ღრმა ჰიპოთირეოზისას. თუმცა ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით ბავშვის ტვინის განვითარების მსუბუქი დაღვევები შესაძლოა ასევე განვითარდეს დედის მსუბუქი გესტაციური ჰიპოთირეოზის დროსაც კი.

- რა იწვევს ჰიპოთირეოზს ორსულობისას?

ჰიპოთირეოზის ყველაზე ხშირი მიზეზი ორსულობისას არის აუტოიმუნური ანუ იგივე ჰაშიმოტოს თირეოიდიტი, როდესაც საკუთარი იმუნური სისტემა გამოიმუშავებს ანტისხეულებს ფარისებრი ჯირკვალის საწინააღმდეგოდ და აქვეითებს მის ფუნქციას და ასევე იოდის დეფიციტი.

- როგორ უნდა მოხდეს ჰიპოთირეოზის მკურნალობა ორსულობისას?

ჰიპოთირეოზის მკურნალობა ორსულობისას არსებითად არ განსახვავდება არაორსული პაციენტის მკურნალობისგან. მკურნალობა ეს არის საკმარისი რაოდენობით ლევოთიროქსინით (L-თიროქსინი, ეუთიროქსი) ჩანაცვლებითი თერაპია, რომლის ფონზეც TSH დონე უნდა იყოს ტრიმესტრის შესაბამის ნორმის ფარგლებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰიპოთირეოზის მქონე ქალბატონებს უხშირესად ესაჭიროებათ დოზის გაზრდა, რამდენადაც მოთხოვნილება ფარისებრის ჰორმონებზე ორსულობისას იზრდება. ხშირად დოზა 25-50%-ით შეიძლება გაიზარდოს.

- რა ინტენსივობით უნდა მოხდეს TSH კონტროლი თიროქსინით მკურნალობაზე მყოფ ორსულ პაციენტში?

თიროქსინით მკურნალობის დაწყებიდან 6-8 კვირაში უნდა მოხდეს TSH კონტროლი და შემდგომ 2 თვეში ერთხელ ინტენსივობით გაგრძელდეს, რომ გამორიცხულ იყოს ფარისებრის ფუნქციის არასაკმარისი კონტროლი მთელი ორსულობის მანძილზე.

- რამდენად უსაფრთხოა თიროქსინის მიღება ორსულობისას?

დიახ, თიროქსინის მიღება აბსოლუტურად უსაფრთხოა ორსულობისას, რამდენადაც იგი წარმოადგენს ზუსტად იმავე ბუნებრივ ჰორმონს, რასაც საკუთარი ფარისებრი ჯირკვალი წარმოქმნის, არაფერი ხელოვნური.

- აუცილებელია თუ არა ყველა ქალმა ორსულობის დადგენისთანავე მოახდინოს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის შემოწმება?

ამ საკითხზე ერთიანი ჩამოყალიბებული აზრი ექსპერტებს შორის არ არსებობს, თუმცა ბევრი ექიმი მიიჩნევს და პირადად მეც ასე ვურჩევ ჩემს პაციენტებს, რომ უმჯობესია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის შეფასება მოხდეს ორსულობის დაგეგმვის პროცესში ან ორსულობის დადგომისთანავე. ეს განსაკუთრებით ეხება ქალბატონებს, რომლებსაც მაღალი რისკი აქვთ ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის აღმოჩენის. ასეთ რისკებს მიეკუთვნება: წარსულში ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა და ასევე გენეტიკური განწყობა ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის მიმართ. რაღა თქმა უნდა, ქალბატონები, რომლებსაც ორსულობამდე დადგენილი ჰქონდათ ჰიპოთირეოზი, ორსულობის დადგომისთანავე უნდა მოახდინონ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის - TSH-ის განსაზღვრა, რამდენადაც ორსულობისას მოთხოვნილება ფარისებრის ჰორმონებზე იზრდება და დიდი ალბათობით საჭირო იქნება თიროქსინის დოზის გაზრდა.